



**მერების
შეთანხმება**

ადგილობრივი ენერგეტიკული მდგრადობის
საკითხებთან დაკავშირებული
ინიციატივებისათვის

www.soglasheniemerov.eu

საქართველო

ქვეყნის შესახებ

დედაქალაქი: თბილისი

მოსახლეობა: 4,392 მილიონი

ენა; ქართული

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (ppp) მთლიანი/
ერთ სულ მოსახლეზე: 23,934 მილიარდი აშშ
დოლარი/5.449 აშშ დოლარი

მშპ (ნომინალური) მთლიანი/ერთ სულ
მოსახლეზე: 12,885 მილიარდი აშშ
დოლარი/\$2.926 აშშ დოლარი

ვალუტა: ქართული ლარი (GEL)

წყარო: სსფ (2011 გაანგარიშება)

საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სფეროებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; ქვეყანაში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბება; თერმული და კოგენერაციული სისტემებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისა და გადაიარაღება-რეაბილიტაციისათვის საჭირო ზომების შესწავლა და ამოქმედება; არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროცესის დასრულება; არსებული თბოელექტროსადგურების რეაბილიტაცია და აეროტურბინის კომბინირებული ციკლის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი გადასცემი ხაზების სრული რეაბილიტაცია; მაღალი ძაბვის გადასცემი ქსელისა და დისპეტჩინგული მართვის სისტემის რეაბილიტაცია; ბუნებრივი გაზის გამსაღწის ძირითადი და გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია და განვითარება; ბუნებრივი გაზის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებებში; იმპორტირებული და ძირითადი თბოელექტროსადგურების მიერ გამოყენებული ელექტროენერჯის თანდათანობითი ჩანაცვლება ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოყენებული ელექტროენერჯით და ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა; ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოხმარება იმ პირობით, რომ ენერჯის ტრადიციული და ალტერნატიული წყაროების გამოყენება მოხდება თანაბრად; ენერგეტიკული სისტემების მდგრადობის უზრუნველსაყოფად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების შენარჩუნება და მშენებლობა; და ადგილობრივი ენერგორესურსების მოპოვება. სრული ენერგეტიკული სტრატეგია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <http://www.minenergy.gov.ge/index.php?m=254>

შეთანხმების მონაწილე მხარეები: 5

ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, თბილისი, გორი

ტექნოლოგიები, რომელთა დაფინანსებაც ხდება:

ენერგოეფექტურობა: ცენტრალური გათბობა, გათბობის სისტემების რეგიონული განახლება, თერმოსტატის სარქველების მონტაჟი; ფანჯრებისა და კარების იზოლაცია; საქვაბების განახლება; ქუჩის განათების კონტროლი; გარე კედლების იზოლაცია, ენერგომრიცხველების მონტაჟი, ელექტროსაქვაბები; ცხელი წყლისა და ცენტრალური გათბობის საქვაბები; და შიდა წყალგაყვანილობის მილების განახლება; სამრეწველო ქარხნებისა და ენერგეტიკული ობიექტების მოდერნიზაცია; განახლებადი ენერჯია: ბუნებრივი გაზის დისტრიბუცია; ბიოსანვავები; ბიო/ნავაგასაყრელის გაზები; გეოთერმული; ჰიდროელექტრო; მზის ენერჯია; მყარი ბიომასა; ქარის ენერჯია. ტრანსპორტი: ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი; ტრანსპორტის მდგრადი განვითარება. ეკოლოგიურად სუფთა წარმოება: ჩამდინარე წყლების თავმოყრა და გადამუშავება; მყარი ნარჩენების უტილიზაცია; მყარი ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება; ჩამდინარე წყლების განმუხტვა; სანავის ჩანაცვლება; მყარი ნარჩენების წვის შედეგად მიღებული ენერჯია

ცნობა სავარაუდო ფინანსური ორგანიზაციების შესახებ საქართველოში

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
2. ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)
3. გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) (მათ შორის EBRD, UNDP, UNEP, UNIDO, IBRD)
4. აზიის განვითარების ბანკი (ADB)
5. მსოფლიო ბანკი - საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი დაფინანსება
6. შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID)
7. მსოფლიო ბანკი
8. KfW (რეკონსტრუქციის საკრედიტო ორგანიზაცია)
9. სასარგებლო ბმულები და ეროვნული ფონდები

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

დონორის დახასიათება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის 29 ქვეყანაში ახორციელებს პროექტების მხარდაჭერას და არის უდიდესი ინვესტორი ამ რეგიონში. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილი პირდაპირი დაფინანსების ძირითადი ფორმებია: სესხები, აქციები და გარანტიები. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ოპერაციები აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) და ევროპის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

დასაშვები სექტორები

აგრობიზნესი, ენერჯეფექტურობა, მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსები, ელექტროენერჯია და ენერჯეტიკა. შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის პროექტების დაფინანსება.

ტექნოლოგიები, რომელთა დაფინანსებაც ხდება

წყალმომარაგება, ჩამდინარე წყლის შეგროვება და გადამუშავება; მყარი ნარჩენების გადამუშავება; ცენტრალური გათბობა; ბუნებრივი გაზის დისტრიბუცია; ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი; ბიოსანთხეობები; ბიო/ნაგავსაყრელის გაზები; გეოთერმული; ჰიდროელექტროენერჯია; მზის ენერჯია; მყარი ბიომასა; ნავის ენერჯია; ქარის ენერჯია; ცენტრალური გათბობა

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

სესხის მინიმალური ოდენობა	5 მილიონი ევრო, რიგ შემთხვევებში შესაძლოა იყოს უფრო ნაკლებიც
სესხის მაქსიმალური ოდენობა	250 მილიონი ევრო
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	მთლიანი კაპიტალის 35% კერძო და 70% სახელმწიფო სექტორის პროექტებზე
საპროცენტო განაკვეთი	დამოკიდებულია ბაზარზე, მაგალითად, EURIBOR-ზე (საშუალო ბანკთაშორის განაკვეთი გამოსახული ევროში). საბაზისო განაკვეთს ემატება მარჟა ქვეყნისა და კონკრეტული პროექტის რისკების გათვალისწინებით.
საშეღავათო პერიოდი	15 წლამდე
სესხის დაფარვა	ჩვეულებრივ თანაბარი, ნახევარწლიანი შენატანებით

პროექტში მონაწილე კომპანიებისგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ითხოვს ჩვეულებრივად დაზღვევადი რისკების დაზღვევას. ბანკი არ ითხოვს პოლიტიკური რისკებისგან ან ადგილობრივი ვალუტის არაკონვერტირებადობისგან დაზღვევას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), როგორც წესი, დასაფინანსებელ კომპანიებისაგან მოითხოვს სესხის უზრუნველყოფას პროექტის აქტივებით (მაგალითად, მოძრავი ან უძრავი აქტივების იპოთეკა). ენერჯეფექტურობის საკრედიტო ხაზის (ენერჯეფექტი) შემთხვევით საქართველოს ბანკი, თბილისი ბანკი და ქართუ ბანკი სესხს სთავაზობს კორპორაციულ და ადგილობრივ მომხმარებლებს. ენერჯეფექტურობის პროგრამის მიზანია ენერჯეფექტური პროექტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და მათი გაყიდვების სტიმულირება.

განაცხადის წარდგენისათვის საჭირო ინფორმაცია

პროექტის შესაბამისობის დასადგენად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მოითხოვს შემდეგ ინფორმაციას: 1. პროექტის მოკლე დახასიათება, სადაც აღწერილია ბანკის დაფინანსების გამოყენების გზების დეტალები; 2. სპონსორის მოკლე დახასიათება; 3. პროექტის დეტალები; 4. ბაზრის მიმოხილვა; 5. ხარჯების ზუსტი განაწილება; 6. დამატებითი წყაროების მითითება; 7. პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების მიმოხილვა; 8. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის აღწერა; 9 აუცილებელი სახელმწიფო ლიცენზიების ან ნებართვების, აგრეთვე მოქმედი სუბსიდიებისა და იმპორტ-ექსპორტის შემღებების შესახებ ინფორმაცია. უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <http://www.ebrd.com/pages/workingwithus/projects/apply.shtml>

პროექტის მაგალითი

1998 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) დაფინანსა ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის 125 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ენერჯის სადგურების ექსპლუატაციის უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი ენერჯის ხელმისაწვდომობის ზრდას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ენერჯეფექტივების ფარგლებში, საბინაო სექტორმა შესაფერისი პროექტებისათვის ბრაიან ფარმ (BP) ფონდიდან საჩუქრის სახით მიიღო მაქსიმუმ 15%-იანი გრანტები. სესხები გაიცა, დაახლოებით, 600 პროექტისათვის.



განაცხადის წარდგენის პროცედურა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსების მიღებით დაინტერესების შემთხვევაში, შეავსეთ განაცხადის ფორმა ონლაინ რეჟიმში, შემდეგ მისამართზე: <http://www.ebrd.com/pages/workingwithus/projects/apply/form.shtml>

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი: ტერი მაკკალიონი (Terry McCallion) (ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების განყოფილების დირექტორი)

ტელ: +44 20 7338 7478

ფაქსი: +44 20 7338 6942

საკონტაქტო პირი ენერგოდაკრედიტების საკითხებში: ჰელენ რაიდიგი (Helene Ryding)

ტელ.: +995 32 222 49 62

ელ. ფოსტა: helene.ryding@geep.ge

ვებ-გვერდი: www.ebrd.com

2. ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

ღონორის დახასიათება

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) არის ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაცია. მისი მონაწილეები არიან ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფო. ბანკმა საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში განახორციელა 190 მილიონი ევროს ინვესტიცია. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ოპერაციები აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და ევროპის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. საქართველოში ინვესტიციები განხორციელდება აღმოსავლეთის პარტნიორობის დაფინანსების ფონდის მეშვეობით.

დასაშვები სექტორები

დაფინანსება ვრცელდება სექტორების უმრავლესობაზე. ფინანსდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის პროექტები.

ტექნოლოგიები

ენერგოეფექტურობა (მაგალითად, ცენტრალური გათბობა, ენერგოობიექტების განახლება); განახლებადი ენერჯია (მაგალითად, მზის ენერჯია, ქარის ენერჯია, ბიომასა); წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების შეგროვება და გადამუშავება; მყარი ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება; სამრეწველო დაბინძურების გამანეიტრალებელი ობიექტები; ურბანული საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

სესხის მინიმალური ოდენობა	5-15 მილიონი ევრო, პროექტის შემადგენლობის მიხედვით
სესხის მაქსიმალური ოდენობა	200 მილიონი ევრო
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	საპროექტო დანახარჯების მაქსიმუმ 50%
საპროცენტო განაკვეთი	ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, ჩვეულებრივ, ხელშისაწვდომია მარჯით, რომელიც ლონდონის ბანკთაშორის შემოთავაზებულ განაკვეთზე (LIBOR) ნაკლებია და თანხის გამოტანის თითოეული მომენტისათვის ფიქსირებულია სესხის სრული დაფარვის ვადამდე.
საშუალო პერიოდი	25 წლამდე, დამოკიდებულია პროექტის ტიპზე
სესხის დაფარვა	გადახდა, ჩვეულებრივ, ეფუძნება ნახევარწლიან ან წლიურ შენატანებს

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) გასცემს პირდაპირ სესხებს ან გლობალურ სესხებს ფინანსური შუამავლების (ბანკებს) მეშვეობით. ბანკი განიხილავს წარმდგენის მიერ მომზადებულ პროექტის განხორციელებადობის დეტალურ გეგმას და მოახდენს პროექტის გარკვეული ასპექტების წინასწარ შეფასებას, მათ შორის: 1. ტექნიკური 2. გარემოს დაცვის 3. ეკონომიკური 4. ფინანსური და 5. იურიდიული.



პროექტის მაგალითი

2010 წელს, ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) გამოყო 20 მილიონი ევროს ღირებულების სესხი ვარდნილისა და ენგურის ჰიდრო ელექტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საქართველოში, რის შედეგადაც მოხდა განახლებადი ენერჯის წარმოების, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის უსაფრთხოების გაუმჯობესება და ალტერნატიული წიაღისეული საწვავიდან ელექტროენერჯის გამომუშავების შედეგად გამოფრქვეული სათბური გაზების გამოყოფის შემცირება.

განაცხადის წარდგენის კრიტერიუმები

პროექტის ინიციატორებმა ბანკის ოპერაციების დირექტორატს, უბრალოდ, უნდა მიანოდონ თავიანთი კაპიტალდაბანდებების დეტალური აღწერა მოსალოდნელ ფინანსურ ვალდებულებებთან ერთად. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის ენჯით შემდეგ ვებგვერდს: http://www.eib.org/attachments/application_documents_en.pdf

განაცხადის წარდგენის პროცედურა

25 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების პროექტებისათვის ინდივიდუალური სესხები შეიძლება მოითხოვონ პირდაპირ EIB-ისაგან. პოტენციური პროექტების სხვადასხვა სპექტრისა და მრავალფეროვნების გამო არ მოითხოვება რაიმე სტანდარტული დოკუმენტაციის წარდგენა. ევროპის საინვესტიციო ბანკში (EIB) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფორმატზე და შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის ინიციატორი. განაცხადების წარდგენის პროცედურებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საინფორმაციო ცენტრს (იხილეთ საკონტაქტო ინფორმაცია)

საკონტაქტო ინფორმაცია

EIB-ის საინფორმაციო ცენტრი

ტელ: (+352) 437922000

ფაქსი: (+352) 437962000

ელ. ფოსტა: info@eib.org

ვებ-გვერდი: www.eib.org

3. გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF)

ღონორის დახასიათება

გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) აერთიანებს 182 წევრი სახელმწიფოს მთავრობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებით და მიზნად ისახავს გარემოს დაცვის გლობალური საკითხების გადარწმუნებას. დღესდღეობით, გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) მსოფლიოს გარემოს დაცვის სფეროში პროექტების უმსხვილესი დამფინანსებელია. ფონდის (GEF) ფარგლებში პარტნიორობა მოიცავს 10 სააგენტოს, მათ შორისაა EBRD, UNDP, UNEP, UNIDO ADB და მსოფლიო ბანკი.

დასაშვები პროექტების ტიპი

პროექტის კონცეფციის შემუშავება შესაძლებელია მთავრობების, საზოგადოებების, კერძო სექტორის თუ სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი სუბიექტების მიერ. შესაძლებელია შემდეგი სახის საქმიანობათა დაფინანსება: ბიომრავალფეროვნება; კლიმატის ცვლილება (შემსუბუქება და ადაპტაცია); ქიმიური ნივთიერებები; საერთაშორისო წყლები; მიწის რესურსების დეგრადაცია; და სატყეო მეურნეობის მდგრადი მართვა.

დასაშვები ტექნოლოგიები

განახლებადი ენერჯის ზონებში სითბური ეფექტის მქონე გაზების გამოყოფის შემცირება ან თავიდან აცილება; ენერგოეფექტურობა; მდგრადი ტრანსპორტი; და მიწათსარგებლობის მართვა, მიწათსარგებლობის ცვლილება და სატყეო მეურნეობა.



ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) რამდენიმე ათასიდან რამდენიმე მილიონი დოლარის ფარგლებში სთავაზობს გრანტებს სხვადასხვა ტიპის პროექტებისათვის.

სესხის მინიმალური ოდენობა	სპეციალური მინიმუმი განსაზღვრული არ არის
სესხის მაქსიმალური ოდენობა	სპეციალური მაქსიმუმი არ არსებობს, ყველაზე დიდი თანხა, რომელიც გარემოს დაცვის გლობალურ ფონდს (GEF) დღემდე გაუნაწილებია კლიმატის ცვლილების სფეროში არსებული პროექტებისათვის საქართველოში, არის 4,3 მილიონი აშშ დოლარი. დღემდე ყველაზე დიდი დაფინანსება თანადაფინანსების ჩათვლით საქართველოში შეადგენს 13 მილიონ აშშ დოლარს.
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	განსაზღვრული არ არის
საპროცენტო განაკვეთი	განსაზღვრული არ არის
საშელავათო პერიოდი	განსაზღვრული არ არის

განაცხადის წარდგენის კრიტერიუმები

გათვალისწინეთ, რომ საპროექტო წინადადების შეტანის დროს უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული კრიტერიუმები, კერძოდ კი: 1. უნდა შეიცავდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც გლობალური მასშტაბით გარემოს დაცვის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად; 2. უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) მოქმედების სტრატეგიას; 3. უნდა ეძიებდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) დაფინანსებას გლობალური ეკოლოგიისათვის სასარგებლო ღონისძიებების მხოლოდ შეთანხმებული დამატებითი დანახარჯებისათვის; 4. უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ჩართულობას პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში; და 5. უნდა გააჩნდეს იმ ქვეყნის (ქვეყნების) მთავრობის/მთავრობათა მხარდაჭერა, სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება. დაფინანსების შესახებ უფრო მუსტი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკოორდინაციო ეროვნულ ცენტრს საქართველოში (იხილეთ საკონტაქტო ინფორმაცია).

პროექტის მაგალითი

2010 წელს გარემოს დაცვის გლობალურმა ფონდმა (GEF) დააფინანსა გაუმჯობესებული ბიომასის მდგრადი წარმოებისა და საქართველოს მუნიციპალური სამსახურების სექტორის მიერ მისი გამათბობელ საშუალებებში გამოყენების წამახალისებელი პროექტი, რითაც ხდება წიაღისეულ სანვავზე დამოკიდებულების შემცირება და სათბურის გაზების გამოყოფის თავიდან აცილება.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

საპროექტო წინადადების შედგენამდე, განმცხადებელმა უნდა მიმართოს ქვეყნის საკოორდინაციო ეროვნულ ცენტრს (იხილეთ საკონტაქტო ინფორმაცია) და შეამოწმოს, საპროექტო წინადადება აკმაყოფილებს თუ არა ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს. თუ პროექტი დაფინანსების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, საპროექტო წინადადების წარმომდგენმა გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საპროექტო ციკლის შიდა პროცედურების დაცვით, უნდა შეიმუშაოს პროექტის საიდენტიფიკაციო ფორმა (PIF). პროექტის საიდენტიფიკაციო ფორმაში მითითებულ წინადადებათა შორის გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) მიერ დაფინანსების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ყველა საჭირო რესურსის გამოყენების მართვა ხდება ქვეყნის დონეზე – საბოლოოდ, გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) საკოორდინაციო ეროვნული ცენტრის მიერ. პროექტების განხილვა, ჩვეულებრივ, ხდება მათი მიღების რიგითობის მიხედვით.

პროექტის საიდენტიფიკაციო ფორმა იხილეთ ვებგვერდზე: <http://www.thegef.org/gef/guidelines>

გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) საკოორდინაციო ეროვნული ცენტრი საქართველოში

საკონტაქტო პირი: ქ-ნი ნინო თხილავა

ტელ: 011 995 32 75 2128

ფაქსი: 011 995 32 27 5728

ელ. ფოსტა: ntkhillava@moe.gov.ge, geoairdept@caucasus.net

ვებ-გვერდი: www.thegef.org



4. აზიის განვითარების ბანკი (ADB)

დონორის დახასიათება

აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებას და მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას. ADB-ს რამდენიმე სამოქმედო სფერო აქვს, მათ შორის არის კლიმატის შეცვლა.

დასაშვები სექტორები

სუფთა, ეფექტური და კლიმატური პირობების მიმართ გამძლე ენერჯოსისტემების ინფრასტრუქტურაში ინვესტირება; ტრანსპორტირების ეფექტური და მდგრადი საშუალებები; მდგომარეობის გაუმჯობესება საიმედო და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყლისა და სანიტარული პირობების თვალსაზრისით; კლიმატის პირობების მიმართ გამძლე და საცხოვრებლად ვარგისი ქალაქები. ბანკი დახმარებას უწევს სუბსუვერენულ, მუნიციპალურ ერთეულებს.

დასაშვები ტექნოლოგიები

განსაზღვრული არ არის

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

სესხის მინიმალური ოდენობა	განსაზღვრული არ არის
სესხის მაქსიმალური ოდენობა	განსაზღვრული არ არის, 100 მილიონზე მეტი
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	25%
საპროცენტო განაკვეთი	ბაზრის შესაბამისად
ვალის დაფარვის ვადა	განსაზღვრული არ არის

სესხისა და დაფინანსების ტიპიდან გამომდინარე ბანკის მიერ მოხდება სესხის უზრუნველყოფის მოთხოვნა.

განაცხადის წარდგენისათვის საჭირო ინფორმაცია

აზიის განვითარების ბანკს (ADB) არ გააჩნია დახმარებაზე განაცხადის სტანდარტული ფორმა. თუმცა, პროექტის შეფასებისათვის ის ძირითადად ითხოვს შემდეგი სახის ინფორმაციას: 1. განმარტებითი ბარათი; 2. პროექტის აღწერილობა; 3. კარგი რეპუტაციის მქონე კონსულტანტის ან საკონსულტაციო ფირმის მიერ მომზადებული პროექტის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება პროექტის სიცოცხლისუნარიანობა ტექნიკური, ფინანსური, ეკონომიკური, გარემოს დაცვისა და სოციალური თვალსაზრისით; 4. სკონსორის (სკონსორების) შესახებ ინფორმაცია; 5. პროექტზე პასუხისმგებლობის განაწილების სტრუქტურა; 6. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები; 7. საპროექტო ოპერაციები; 8. ბაზარი; 9. გარემოს დაცვისა და სოციალური ასპექტები; 10. დანახარჯების გაანგარიშება; 11. დაფინანსების გეგმა; 12. ფინანსური მოდელი; 13. რისკების ანალიზი; 14. ნებართვები და ლიცენზიები. უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდზე: <http://beta.adb.org/site/private-sector-financing/applying-assistance>

პროექტის მაგალითი

2009 წელს აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოში დაამტკიცა მდგრადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროექტი. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ეფექტურობის, სტაბილურობისა და ფინანსურად ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას საქართველოს ქალაქებში.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

უფრო დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ უშუალოდ აზიის განვითარების ბანკს (ADB).

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს მისია
ტელ: +995 32 250619 to 21
ფაქსი: +995 32 250622
ვებ-გვერდი: www.adb.org



5. მსოფლიო ბანკი – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ადგილობრივი დაფინანსება

დონორის დახასიათება

ადგილობრივი დაფინანსების დეპარტამენტი წარმოადგენს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ერთობლივ ინიციატივას. იგი აფინანსებს სახელმწიფოებს, რაიონებს, მუნიციპალიტეტებსა და მათ სწავროებს, და გზას უხსნის მათ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე სამთავრობო გარანტიების გარეშე.

დასაშვები სექტორები

ენერჯოფექტურობა; ელექტროენერჯია; გაზის განაწილება; ცენტრალური გათბობა; წყლისა და ჩამდინარე წყლის მართვა; ტრანსპორტი; მყარი ნარჩენები; სხვა მნიშვნელოვანი კომუნალური მომსახურება. დაფინანსებას ექვემდებარება მუნიციპალური, რაიონული, რეგიონული თუ ადგილობრივი მთავრობები და მათი უწყებები.

დასაშვები ტექნოლოგიები

არ არის განსაზღვრული

დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

სესხის მინიმალური ოდენობა	არ არის განსაზღვრული
სესხის მაქსიმალური ოდენობა	არ არის განსაზღვრული
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	არ არის განსაზღვრული
საპროცენტო განაკვეთი	არ არის განსაზღვრული
საშუალო პერიოდი	არ არის განსაზღვრული

ადგილობრივი დაფინანსების დეპარტამენტი რისკებს აფასებს მთელი რიგი კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეფასების საკუთარი მოდელის ქულებში აისახება. ეს კრიტერიუმებია: 1. ფინანსური (სამთავრობო გარანტიების გარეშე სესხის დასაფარი ფულადი ნაკადების პროგნოზი, სესხის მოცულობა; 2. სოციალურ-ეკონომიკური (ძლიერი ეკონომიკური ბაზა); 3 ინსტიტუციური (ოპერაციული ეფექტურობა); 4. მარეგულირებელი (ბაზრის სრულყოფის ხარისხი, დეცენტრალიზაციის დონე) 5. განვითარების გავლენა: (ინვესტიციის არსი, ეკონომიკური და სიღარიბის დაძლევასთან დაკავშირებული ღონისძიებების შედეგად მიღებული სასიკეთო შედეგები.)

განაცხადის წარსადგენად საჭირო ინფორმაცია

დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენისას მიუთითეთ შემდეგი ძირითადი ინფორმაცია პროექტის შესახებ: 1. მონაწილე სუბიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა; 2. დასტური იმისა, რომ აღნიშნული სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს სესხი კომერციული პირობებით, სამთავრობო გარანტიების გარეშე; 3. როგორაა დაგეგმილი სახსრების/ინვესტიციების გამოყენება; 4. ინვესტიციების საერთო ღირებულება; 5. მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა; 6. პროექტის დანებებისა და დასრულების სავარაუდო ვადები; 7. სხვა მონაწილე მხარეთა, მაგალითად, საფინანსო ორგანიზაციების ან სამშენებლო ფირმების სახელწოდებები.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

ადგილობრივი პროექტის დაფინანსებით დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ თქვენი შეკითხვები გაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით. ელ. ფოსტის წერილის თემის სტრიქონში ან ფაქსით გაგზავნილი შეტყობინების დასაწყისში ნუ დაგავიწყდებათ, ახსენოთ ფრაზა „განაცხადი დაფინანსებაზე“. ასევე უნდა მიუთითოთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია.

საკონტაქტო ინფორმაცია

ფაქსი: (202) 974-4310

ელ. ფოსტა: subnationalfinance@ifc.org

ვებ-გვერდი: <http://www.ifc.org/subnationalfinance>

6. შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID)

დონორის დახასიათება

შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID) წარმოადგენს დამოუკიდებელ სააგენტოს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფარგლებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს და ქვეყნებს აწვდის ჰუმანიტარულ დახმარებას და ხელს უწყობს მათ განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

დასაშვები სექტორები

ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტები და არსამთავრობო ორგანიზაციები

დასაშვები ტექნოლოგიები

ენერგოეფექტურობასთან, CO₂-ის შემცველობის შემცირებასთან და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები

დაფინანსების შესახებ ინფორმაცია

შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID) სახელმწიფოებს შესაძლებლობებთან დაკავშირებით უკვე აღარ აქვეყნებს შეტყობინებებს USAID-ის ვებგვერდზე. აღნიშნული შეტყობინებები გამოქვეყნდება გვერდზე www.grants.gov. ენჯეთ ვებგვერდს Grants.gov და დარეგისტრირდით, თუ გსურთ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების მიღება.

პროექტის მაგალითი

სათანადო პროექტი USAID-ის მიერ საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

USAID-ის დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის მიზნით გაცვანით შესაბამის შეტყობინებას, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.grants.gov

საკონტაქტო ინფორმაცია USAID/საქართველო

განმარტებითი სამუშაოებისა და კომუნიკაციების განყოფილება განვითარების საკითხებში

ტელ: (38 044) 537-4600

ვებ-საიტი საქართველოში: <http://georgia.usaid.gov>

ვებ-საიტი მსოფლიოში: www.usaid.gov

USAID-ის მიერ გრანტების შესახებ შეტყობინებების გაცნობის მიზნით ენჯეთ ვებგვერდს: www.grants.gov

7. მსოფლიო ბანკი

დონორის დახასიათება

მსოფლიო ბანკი წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარებისა და განვითარების დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს მსოფლიოს მასშტაბით. ბანკი შედგება განვითარების ორი ორგანიზაციისგან, რომელიც ეკუთვნის 187 წევრ ქვეყანას. ეს ორი ორგანიზაციაა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA). რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა საშუალო შემოსავლის მქონე და შედარებით ღარიბ გადახდისუნარიან ქვეყნებში, ხოლო IDA აქცენტს მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებზე აკეთებს.



მერების
შეთანხმება

ავტორიზირებული მფრადის
საკონსტრუქციო და განვითარების
ინიციატივებისათვის

დასაშვები სექტორები

თითქმის ყველა სექტორი ექვემდებარება დაფინანსებას

დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) საინვესტიციო პროექტებზე სთავაზობს საშუალო წლიურ საკრედიტო დახმარებებს. მიმღები ქვეყნები აღნიშნულ თანხებს მოიხმარენ საქონლისა და აღჭურვილობის შესაძენად, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისათვის და აღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად. თითოეული პროექტი შეიძლება ითვალისწინებდეს ბევრ ცალკეულ ხელშეკრულებასა და ბიზნეს შესაძლებლობებს მსოფლიო მიმწოდებლებისათვის, კონტრაქტორებისა და კონსულტანტებისათვის. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებით გათვალისწინებული ბიზნეს შესაძლებლობების განხორციელების დროს აუცილებელია, გვესმოდეს, რომ მიმღებ ქვეყანაში არსებული უწყება, რომელიც პროექტს ახორციელებს, შესყიდვებზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს. ყველა კონტრაქტი ფორმდება მსესხებელს (ჩვეულებრივ, ეს არის სამთავრობო ერთეული, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას) და მომწოდებელს, კონტრაქტორს ან კონსულტანტს შორის. ბანკის როლი მდგომარეობს მსესხებლის მიერ სამუშაოების სათანადოდ შესრულების, შესყიდვების შეთანხმებული პროცედურების დაცვისა და მთელი პროცესის ეფექტურად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად განხორციელების უზრუნველყოფაში.

პროექტის მაგალითი

მსგავსი პროექტი საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ ჯერ არ განხორციელებულა

განაცხადის წარდგენის პროცედურა

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ადგილობრივ ოფისს

საკონტაქტო ინფორმაცია

მსოფლიო ბანკის ოფისი თბილისში

ტელ: (995 32) 91-30-96

ფაქსი: (995 32) 91-34-78

საგარეო ურთიერთობათა მენეჯერი: ქ-ნი ინგა პაიჭაძე

ელ-ფოსტა: ipaichadze@worldbank.org

8. KfW

დონორის დახასიათება

KfW არის გერმანიის წამყვანი განვითარების ბანკი, რომელიც შედის KfW Bankengruppe-ის შემადგენლობაში. ჩვენი ძირითადი კლიენტები არიან გერმანიის სამინისტროები, თუმცა ჩვენ ასევე ვემსახურებით ევროკომისიასა და სხვა ქვეყნების მთავრობებს განვითარებისა და თანამშრომლობის სფეროში პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საქმეში. გერმანიასა და საქართველოს შორის ორმხრივი ფინანსური თანამშრომლობა (FC) დაიწყო 1993 წელს, რომელიც ხორციელდება KfW Entwicklungsbank-ის მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერაციული სამინისტროს (BMZ) სახელით. 2001 წლიდან, საქართველოს ფინანსურ თანამშრომლობას დაემატა BMZ-ის რეგიონული კავკასიის ინიციატივა (CI).

დასაშვები სექტორები

დღეისათვის KfW Entwicklungsbank ძირითადად აფინანსებს ინვესტიციებს ელექტროგადამცემის რეგიონული მნიშვნელობის მქონე პროექტების ფარგლებში. ის ასევე აფინანსებს განახლებადი ენერჯის სფეროში განახორციელებელ ინვესტიციებსაც.

დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

აღნიშნული ბანკი გახლავთ თქვენი პროექტის დაფინანსების უნივერსალური წყარო. რიგ შემთხვევებში KfW-ის სესხი ფარავს თქვენი ფინანსური საჭიროების მხოლოდ ნაწილს.



პროექტის მაგალითი

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელი უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას დაახლოებით 260 კილომეტრის სიგრძის ახალი 500 კილოვატიანი ხაზის დამატებით გარდაბნიდან და ზესტაფონიდან. ეს ხაზი საქართველოსა და თურქეთის ენერჯისტიკებს ერთმანეთთან დააკავშირებს. შემდეგ მოხდება საქართველოში არსებული ქვესადგურების შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს ჰიდროელექტროენერჯის გამოყენებით შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მილიონი ტონა CO2 გამოწვევის თავიდან აცილება თურქეთში. ელექტროენერჯის გატარება თურქეთის მიმართულებით მოსალოდნელია 2012 წლის ბოლოსათვის. პროექტი 2013 წლისათვის უნდა დასრულდეს.

განაცხადის წარდგენის პროცედურები

განაცხადის წარდგენა ყოველთვის უნდა მოხდეს პროექტის დაწყებამდე (მაგალითად, პირველ სავალდებულო ხელშეკრულებამდე/დაკვეთამდე ან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე), რადგანაც ვალის რესტრუქტურირება და უკვე განუვლი ხარჯების დაფინანსება არ არის შესაძლებელი. დამატებით ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ. ფოსტა: info@kfw-entwicklungsbank.de

ვებგვერდი:

http://www.kfw-entwicklungsbank.de/ebank/EN_Home/Countries_and_Programmes/Europe/Georgia

9. სასარგებლო ბმულები და ეროვნული ფონდები

1. ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში (INOGATE)

ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროგრამა (INOGATE) წარმოადგენს ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, მათ შორის საქართველოსთან, ენერჯეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას. მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ შემდეგი ძირითადი ოთხი მიზნის რეალიზების საქმეში: 1. ენერჯეტიკული ბაზრების ერთმანეთთან შერწყმა ევროკავშირის შიდა ენერჯეტიკული ბაზრების პრინციპებზე დაყრდნობით და მონაწილე ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით; 2. ენერგოსაფრთხობის გაზრდა ენერგორესურსების ექსპორტის/იმპორტის, მათი მიწოდების დივერსიფიკაციის, ენერგოტრანზიტისა და ენერგორესურსებზე მოთხოვნის საკითხების მოგვარების გზით; 3. მდგრადი ენერჯეტიკული განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯისა და მოთხოვნის რეგულირების განვითარება; 4. საერთო და რეგიონული მნიშვნელობის მქონე ენერგოპროექტებში ინვესტიციების მოზიდვა.

ვებგვერდი: www.inogate.org

2. ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI)

Avropa Qonşuluq və Tərəfdaşlıq Aləti (AQTA) konkret yardımlar vasitəsilə Avropa Qonşuluq Siyasətini ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ENP-ის (ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა) ფარგლებში კონკრეტული დახმარების პროგრამების მხარდაჭერას. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) არის ფართო პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის მეზობლების ეკონომიკური აღმავლობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, რათა არ მოხდეს გაფართოებულ ევროკავშირისა და მის უშუალო მეზობლებს შორის გამყოფი ხაზების ჩამოყალიბება.

ვებ-გვერდი: http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm

3. GTZ - GIZ

მოქმედებს რა გერმანიის ფედერალური მთავრობისა და სხვა კლიენტთა სახელით, GTZ - GIZ ეხმარება პარტნიორ ქვეყნებს კლიმატური ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს საბუნებრივი რესურსების გამოყოფის შემცირებასა და კლიმატური ცვლილების შედეგებთან ადაპტაციას. გარდა ამისა, GTZ ახორციელებს კლიმატის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვას პარტნიორ ქვეყნებში ფართო სპექტრის პრაქტიკული ღონისძიებების გატარებით.

ვებგვერდი: www.giz.de

4. განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის პარტნიორობა (REEEP)

განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის პარტნიორობა (REEEP) წარმოადგენს არაკომერციულ, ცვლილების სპეციალისტ ორგანიზაციას, რომლის მიზანია ახალ ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებზე ძირითადი ყურადღების გამახვილების გზით განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის ბაზრების სწრაფი განვითარება.

ვებგვერდი: <http://www.reeep.org/>

5. შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida)

შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) არის შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამთავრობო ორგანიზაცია. შვედეთის განვითარებაზე ორიენტირებული დახმარება ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და კლიმატური ცვლილება, გენდერული თანასწორობა და ქალთა როლი.

ვებგვერდი: <http://www.sida.se/English>

6. ეროვნული ფონდები

აღმოსავლეთის პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უმეტესობა იმყოფება რეგულარული მხარდაჭერი სტრუქტურებისა და ფონდების ჩამოყალიბების პროცესში. ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა, (SEAP) ჯერ კიდევ არ არის ფართოდ აღიარებული, როგორც კლიმატის სფეროში ადგილობრივი პოლიტიკის განვითარების ინსტრუმენტი; შესაბამისად, ამ კონკრეტულ სფეროში მკაფიო და მუდმივმოქმედი მრავალწლიანი ეროვნული პროგრამები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მხარდაჭერის არსებული მექანიზმები, რომლებიც ხელმისაწვდომია ენერჯის დაზოგვის ეროვნული პროგრამების (SEAP) ფარგლებში და რომლებიც სწრაფად ვითარდება, შეიძლება შეიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის მხარდასაჭერად მიუხედავად იმისა, რომ მათი მიღებისა და მოპოვების პროცედურები შეიძლება იცვლებოდეს ყოველწლიურად. ამასთანავე, ეროვნული ფონდებიდან ფინანსური მხარდაჭერის მაძიებელმა მხარეებმა ინფორმაციისათვის უნდა მიმართონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი მშენებლობის, რეგიონული განვითარების, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს, რომლებსაც, შესაძლოა, გააჩნდეთ თავისუფალი სახსრები. მათ ასევე შეიძლება მიმართონ საოლქო ან რეგიონულ ადმინისტრაციებს თუ ეკოლოგიურ ფონდებსაც.



მთელი პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტის შინაარსთან მიმართებით აკისრია „მერების შეთანხმების აღმოსავლეთით გაფართოვებას“ (Covenant of Mayors Office East). ის საავალდებულოდ არ ასახავს ევროკავშირის თვალსაზრისს. ევროპის კომისია არ აგებს პასუხს წინამდებარე ტექსტში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი მიზნით გამოყენებაზე ან ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც შეიძლება დარჩეს ტექსტებში მათი მომზადების დროს გამოჩენილი ყურადღების მიუხედავად. „მერების შეთანხმების აღმოსავლეთით გაფართოვება“ შეიქმნა ევროპის კომისიის DG DEVCO-ს ფინანსური მხარდაჭერით. მას ხელმძღვანელობს ევროპის ადგილობრივი მთავრობების ასოციაცია, რომლებიც თავიანთ ენერგეტიკულ მომვალზე ბრუნავენ (Energy Cities), და მოიცავს ევროპის ადგილობრივი მთავრობების ასოციაციას (Climate Alliance), ასოციაციას «უკრაინის ენერგოეფექტური ქალაქები» (Energy Efficient Cities of Ukraine), ნიდერლანდების სამეფოს ეკონომიკურ საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სააგენტოს (NL Agency) და ცენტრალური აზიის გარემოს დაცვის რეგიონულ ცენტრს (Regional Environmental Centre for Central Asia).